კერძო და საჯარო თანამშრომლობის პროექტების და სახელმწიფო ინვესტიციების როლი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში

სემინარის გეგმა:

- ✓ კოვიდ 19–ით გამოწვეული პანდემიამდე ტურიზმის განვითარების თავისებურებები
- ✓ სახელმწიფო ინვესტიციები ტურიზმში და ინფრასტრუქტურული პროექტები
- ✓ საჯარო და კერძო თანამშრომლობის უცხოური პრაქტიკა ტურიზმში
- ✓ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების მნიშვნელობა ტურიზმში, აჭარის მაგალითზე

- **კოვიდ 19–ით გამოწვეული პანდემიამდე ტურიზმის განვითარების თავისებურებები აჭარაში**

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში* სტუმართა რაოდენობა ჩამოსვლის ადგილისა და მიზნის მიხედვით

	სტუმართა რაოდენობა, კაცი	*მათ შორის:*			
		რეკრეაცია და დასვენება	საქმიანი და პროფესიული	მკურნალობა	სხვა მიზნები
2019					
აჭარა	**1,001,310**	**900,833**	**84,386**	**293**	**15,798**
მათ შორის:					
საქართველოდან	**297,245**	**253,970**	**41,913**	**207**	**1,155**
საზღვარგარეთიდან	**704,065**	**646,863**	**42,473**	**86**	**14,643**
მათ შორის:					
ევროკავშირის ქვეყნებიდან	46,721	43,894	2,793	20	14
დსთ-ს ქვეყნებიდან	173,881	152,451	11,124	45	10,261
სხვა ქვეყნებიდან	483,463	450,518	28,556	21	4,368

მასპინძლობის ინდუსტრიის წილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიან შიდა პროდუქტში (ათასი ლარი)

	2017	2018	2019
განთავსების საშუალებებით	278.4	318.8	450.6

უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები			
გადახრა წინა წელთან შედარებით	23.2%	14.5%	41.3%
წილი მშპ–ში	7.8%	7.9%	9.0%

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

FDI

მლნ აშშ დოლარი	2017	2018	2019	2020
საქართველო	**1,978.3**	**1,306.3**	**1,310.8**	**616.9**
აჭარა	**210.8**	**78.2**	**198.1**	**129.7**
წილი	10.7%	6.0%	15.1%	21.0%
ზრდა/კლება	**94%**	**-63%**	**153%**	**-35%**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დარგობრივად, აჭარის ა.რ.–ში

სექტორები	2017	2018	2019	2020
მშენებლობა	33.2	69.8	46.1	88.5
ენერგეტიკა	87.2	3.7	159.6	30.0
სასტუმროები და რესტორნები	43.4	12.1	6.2	-17.7



სასტუმროებისა და რესტორნების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2017	2018	2019
ბრუნვა (მლნ ლარი)	**243.1**	**267.6**	**324.9**
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	**247.6**	**270.0**	**338.7**

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	7,327	7,654	8,185
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	675.8	711.3	802.7
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	135.6	139.7	217.8

- **სახელმწიფო ინვესტიციები ტურიზმში და ინფრასტრუქტურული პროექტები**



სახელმწიფო ინვესტიციებით განხორციელებული პროექტები 2017–2019 წლებში

2017

- ზენდიდის ციხეზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- კავიანის ციხეზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- შუახევის მუნიციპალიტეტში ღომას მთის დაგეგმარება;
- აჭარის მუნიციპალიტეტში დასვენებისა და საპიკნიკე ადგილების მოწყობა.
- სოფელ ქვედა მახუნცეთში ტურისტული ცენტრის მშენებლობა;

2018

- ქედაში ცივასულას ციხეზე მისასვლელი ბილიკის მოწყობა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობადა ხიდების რეაბილიტაცია (წონიარისი, პირველი მაისი);

- ბათუმი-ახალციხის მაგისტრალზე საახალდაბოს ტერიტორიის მიმდებარედ ჯიხურის მშენებლობისა და ამავე ტერიტორიაზე საპარკინგე ადგილისმოწყობა;
- სოფელ ტაკიძეებში საკემპინგე ადგილის მოწყობა.
- ქედაში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და სოფელ ქვედა ბზუბზუში ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკის გაყვანა;

2019

- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ქედის მუნიციპალიტეტის მერისის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ სალიბაურში გარეკუნის ჩანჩქერთან მისასვლელ ისაფეხმავლო ბილიკისა და სახიდე გადასასვლელების მოწყობა);
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეძიბნაში გოდერძის ჩანჩქერთან მისასვლელიბილიკის და სოფ. ძენწმანის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკის მოწყობა);
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედაბზუბზუს ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკის დ ასოფ. ქვედა ბზუბზუს ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკის მოწყობა);
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ქედის მუნიციპალიტეტში, წონიარისში ჩანჩქერთან მისასვლელი სახიდე გადასასვლელის მოწყობა);
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ქედის მუნიციპალიტეტის სოფ.გუნდაურში გვახას და ჭინჭნარის ჩანჩქერების მოწყობა).

აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დარგის სპეციალისტებთან ღრმა ინტერვიუს მეთოდის საშუალებით შეგროვდა ინფორმაცია იმ ინფრასტრუქტრული პროექტების შესახებ, რომელიც გახდება საფუძველი ისეთი ტურისტული მიმართულებების განვითარების, როგორიცაა სათავგადასავლო, სოფლად და ეკო ტურიზმი

ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტები მაღალმთიან აჭარაში		
ლოკაციები	**ტურისტული ინფრასტრუქტურა დასათავგადასავლო აქტივობები**	**განვითარების სტადია**
ჩირუხისმთა (შუახევისმუნიციპალიტეტი)	ჩირუხზე იგეგმება ევროპაში ყველაზე გრძელი – 1752 მეტრიანი ზიპლაინის მოწყობა, რომელიც იქნება ორზოლიანი. ზიპლაინით ჩირუხი იქცევა მიმზიდველობის ცენტრად, რასაც თავის მხრივ მოჰყვება შესაბამისი ტურისტული ინფრასტრქტურის მოწყობა – ზედა და ქვედა სადგური, კვების ობიექტები, საინფორმაციო ცენტრი, მოსასვენებელი ადგილი, იგეგმება ჩირუხის მთას მიენიჭოს დაცული ლანდშაფტის სტატუსი, რაც კრძალავს ბუნებაში ადამიანის ჩარევას და აქტიურ განაშენიანებას.	პროექტი
ჭვანასხეობა (შუახევის მუნიციპალიტეტი)	ჭვანის ხეობა დატვირთულია ისტორიულ–კულტურული ძეგლებით. ჭვანის ხეობას აქვს სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმის განვითარების დიდი	პროექტი

	პოტენციალი. შესაძლებელი იქნება კლდეებზე ცოცვა, სამთო ველოტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი და სხვა. ექსტრემალური ტურიზმის შემადგენელი ნაწილია კლდეზე დაკიდებული კაფსულების განთავსება. ჭვანას ხეობა არის ჩართული საკმაოდ საინტერესო მარშრუტში, რომელის სიგრძე 88 კმ–ია: კინტრიშრის დაცულის ტერიტორია (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) – გომის მთა (გურიის რეგიონი) – ჯვარი მინდორი – ხაბელაშვილების ხიდი	
მაჭახელა (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი)	მაჭახელას ხეობის ტურისტული ინფრასტრუქტურა ძირითადად ემსახურება სოფლად ტურიზმის განვითარებას, ამავდროულად მოიცავს სათავგადასავლო ტურიზმის სოფთ აქტივობებს. მაჭახელას ხეობის ეთნო სოფლის კონცეფცია მიზნად ისახავს ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტერაქციას. იგეგმება მაჭახელას მთას მიენიჭოს დაცული ლანდშაფტის სტატუსი	ხორციელდება ტურები
გოდერძი, ბეშუმი და მწვანე ტბა (ხულოს მუნიციპალიტეტი)	გოდერძი განვითარებადი ტურისტული ლოკაციაა, რომელიც გათვლილია	ხორციელდება ტურები

	წელიწადის ოთხივე დროზე. აქ ყველა პირობა იქმნება განვითარდეს სამთო–სათხილამურო კურორტი, ამავდროულად მოეწყო ალპური ბოტანიკური ბაღი. ბეშუმი საუკეთესო კურორტია კემპინგისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. მწვანე ტბის გარშემო მოწყობილია ლაშქრობების მოყვარულთათვის საჭირო ტურისტული ინფრასტრუქტურა.	
მტირალას ეროვნული პარკი (ქობულეთის მუნიციპალიტეტი)	მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია მდიდარია ფლორითა და ფაუნით, სადაც ფუნქციონირებს ერთ და 2-დღიანი ტურისტული მარშრუტები. ბილიკები მარკირებული და კეთილმოწყობილია. მოწყობილია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები, ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, საცხენოსნო, სამეცნიერო და ეკო-ტურებს სთავაზობს. მტირალას ეროვნულ პარკში მოწყობილია ზიპლაინი.	ხორციელდება ტურები
სახალვაშო და ჩაისუბანი, (ქობულეთის მუნიციპალიტეტი)	საუკეთესო ადგილია მათთვის, ვინც ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებს მტაცებელი ფრინველების ეკოლოგიისა და	ხორციელდება ტურები

	მიგრაციის შესახებ. აქ ფრინველებზე დაკვირვებისათვის პლატფორმებია მოწყობილი და მათთან მისასვლელი ბილიკებიც დამარკულია.	
ხიხანის ციხე, (ხულოს მუნიციპალიტეტი)	ციხე X-XIII საუკუნეებით თარიღდება. ამ ეტპაზე კეთდება ციხეზე ასასვლელი ბილიკი, რაც ლაშქრობის და ისტორიული ძეგლებით დაინტერესებული ტურისტებისთვის ნამდვილი აღმოჩენაა.	ხორციელდება ტურები
უჩხოს კანიონი, (ხულოს მუნიციპალიტეტი)	ულამაზესი კილომეტრნახევრიანი კანიონი მოლაშქრეებს 12 კასკადოვან ჩანჩქერზე თოკებით დაშვების საშუალებას აძლევს. უჩხოს მიმართულება პირველი კანიონინგის ტურისტული მარშრუტია აჭარაში, რომელიც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის რეგიონის ტურისტულ პროდუქტებს.	პროექტი
კავიანის ციხე – დანდალომდე, შუახევის – ქედის მუნიციპალიტეტი	ველობილიკის მოწყობა, სამთო ველოსპორტის მოყვარულებისთვის.	პროექტი
ღორჯომი ხეობა–კურორტი ბახმარო (ხულოს მუნიციპალიტეტი/გურიის რეგიონი)	მთა ლეკნარი–ბახმარო: მარშრუტი ლაშქრობისთვის	ხორციელდება ტურები

- **საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელები ტურიზმში და უცხოური პრაქტიკა**

  PPP მოდელები ტურიზმში

✓ Design – Build – Operate (DBO)

- ✓ Build – Operate – Renewal of Concession (BOR)
- ✓ Build – Operate – Transfer (BOT)
- ✓ Lease – Develop – Operate (LDO)
- ✓ Rehabilitate – Operate – Transfer (ROT)
- ✓ Build – Own – Operate – Transfer (BOOT)

- **საჯარო და კერძო თანამშრომლობის პერსპექტივები ტურიზმში, აჭარის მაგალითზე**